სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

06 ნოემბერი, 2024 წ.

ბრძანება №01-02/187

ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წლისათვის დამატებითი მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის N19 დადგენილების, „ბსუ-ს 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/50 დადგენილების, „2024-2025 სასწავლო წელს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 12 სექტემბრის N06-01/63 დადგენილების, „ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 12 სექტემბრის №06-01/63 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №06-01/86 დადგენილების, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის MES 3 24 0001409080 01.11.2024 წ. და ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის MES 8 24 0001429065 06.11.2024 წ. საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2024-2025 სასწავლო წლისათვის გამოცხადდეს დამატებითი მიღება ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 12 სექტემბრის N 06-01/63 დადგენილებით განსაზღვრულ ვაკანტურ ადგილებზე (წინამდებარე ბრძანების **N1 დანართი**).
2. დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს **2024 წლის 7 და 8 ნოემბერს, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე** (ბსუ-ს პირველი კორპუსი, ოთახი N19, ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32).
3. დოქტორანტობის კანდიდატებმა **რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:**

ა) დოქტორანტობის კანდიდატის განცხადება (სააპლიკაციო ფორმა შევსებული წინამდებარე ბრძანების **N2 დანართის** შესაბამისად);

ბ) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

გ) 2 ფოტოსურათი ზომით 3X4–ზე და ელექტრონული ვერსია CD დისკზე;

დ) მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (2024 წელს კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე, ბსუ-ს კურსდამთავრებულთათვის - ბსუ-ს მიერ დამოწმებული დიპლომის ასლი; უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში));

ე) ერთსაფეხურიანი, ხუთწლიანი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრების დამადასტურებელი დოკუმენტი (სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული; **შენიშვნა:** დასაშვებია დოქტორანტობის კანდიდატის დოკუმენტაციის მიღება იმ შემთხვევაში, თუკი კანდიდატს ცნობის მიღების მიზნით მიმართული აქვს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის ან ბსუ-ს კურსდამთავრებულია (ასეთ შემთხვევებში ბსუ-ს დოქტორანტობის კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის აქტის გამოცემამდე);

ვ) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია და სამეცნიერო ხელმძღვანელის (სავარაუდო) და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა (შევსებული წინამდებარე ბრძანების **N3 დანართის** შესაბამისად);

თ) სხვა დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს შესაბამისი სადოქტორო პროგრამა.

4. დოქტორანტურაში **მისაღები გამოცდები/გასაუბრება ჩატარდეს** შემდეგი განრიგით:

4.1. **მისაღები გამოცდა ინგლისურ ენაში** (კონკურსანტს მოეთხოვება არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა) - **2024 წლის 11 ნოემბერი** (დაწყების დრო: 10:00 საათი; ჩატარების ადგილი: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35-ში მდებარე ბსუ-ს N2 კორპუსში, აუდიტორია N110);

4.1.1. გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2024 წლის 11 ნოემბერი;

4.1.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება - 2024 წლის 11 ნოემბერი, 14:00 დან 18:00 მდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით;

4.1.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის მომზადება - 2024 წლის 11 ნოემბერს (ეცნობება კონკურსანტს, მის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე).

4.2. მისაღები გამოცდა სპეციალობაში (ზეპირი)- **2024 წლის 12 ნეომბერი** (გამოცდის დაწყების დრო: 10:00 საათი; გამოცდის ჩატარების ადგილის შესახებ ინფორმაცია ეცნობება კანდიდატებს შესაბამისი ფაკულტეტის მიერ და განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე);

4.2.1. გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2024 წლის 12 ნოემბერი; (ეცნობება კანდიდატებს შესაბამისი ფაკულტეტის მიერ და განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე);

4.2.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება - 2024 წლის 13 ნოემბერი, 10:00 დან 16:00 მდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით;

4.2.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის მომზადება - 2024 წლის 14 ნოემბერს (ეცნობება კონკურსანტს, მის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე).

5. დოქტორანტურაში მისაღებ გამოცდებზე კონკურსანტმა უნდა იქონიოს და წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი.

6. შეიქმნას **დოქტორანტურაში მიმღები კომისია** წინამდებარე ბრძანების **№4 დანართის** შესაბამისად (სამუშაო ადგილი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი №19) და დაევალოს:

ა) მიიღოს და დაამუშაოს დოქტორანტობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია - 2024 წლის 7 და 8 ნოემბრის ჩათვლით, ყოველდღე, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე პერიოდში;

ბ) უზრუნველყოს შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან **ხელშეკრულებების გაფორმება - 2024 წლის 15 ნოემბერს,** 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, ამ პირთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პირველი სემესტრის სწავლის საფასურის (არანაკლებ 1000 ლარის) გადახდის ქვითრის წარმოდგენის საფუძველზე.

7. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს 2024 წლის 15 ნოემბერს, შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ სასწავლო პროცესის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

8. დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) განათავსოს ბრძანება ამავე სამსახურთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

9. დაევალოს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შესახებ განცხადების ტექსტის მომზადება და ვებგვერდზე განთავსებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის მიწოდება.

10. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.

11. ამ ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე).

12. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N 30.) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წლისათვის დამატებითი მიღების გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 06 ნოემბერის №01-02/187 ბრძანების

№1 დანართი

№	„2024-2025 სასწავლო წელს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 12 სექტემბრის №06-01/63 დადგენილებით განსაზღვრული **ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები**	**მისაღები კონტინგენტი** (ადგილების რაოდენობა)
1	ბიოლოგია	2
2	ფილოლოგია	1

,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წლისათვის დამატებითი მიღების გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 06 ნოემბრის №01-02/187 ბრძანების

№2 დანართი

ბსუ-ს რექტორს,

აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი:_____

ბსუ-ს დოქტორანტობის კანდიდატის განცხადება

სურვილი მაქვს ჩავირიცხო და ვისწავლო ბსუ-ს ---------- ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,----------''. გთხოვთ მიიღოთ ჩემი სააპლიკაციო განაცხადი და წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

სააპლიკაციო განაცხადი

1. კანდიდატის პირადი მონაცემები	
სახელი	
გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების ადგილი, თარიღი(რიცხვი/თვე/წელი)	
მოქალაქეობა	
ფაქტობრივი მისამართი	
რეგისტრაციის მისამართი	
ელ-ფოსტა	
ტელ. ნომერი (სახლის და მობილური)	
მიღებული განათლება/სწავლის პერიოდი	
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	
მინიჭებული აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია)	
უცხო ენის ფლობა	
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (პუბლიკაცია, კონფერენცია, სიმპოზიუმი)	
დასაქმების სფერო (ორგანიზაციის დასახელების, წლების მითითებით)	
სადოქტორო კვლევითი პროექტის თემის დასახელება	

სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი, თანამდებობა	
სხვა ინფორმაცია, კანდიდატის შეხედულებით	

2.	**რეგისტრაციისათვის** წარმოსადგენი **დოკუმენტების ჩამონათვალი**	
1.	განცხადება/სააპლიკაციო ფორმა	
2.	მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (2024 წელს კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე, ბსუ-ს კურსდამთავრებულთათვის - ბსუ-ს მიერ დამოწმებული დიპლომის ასლი; უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში));	
3.	პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;	
4.	2 ფოტოსურათი ზომით 3X4-ზე და მისი ელექტრონული ვერსია კომპაქტ–დისკზე;	
5.	სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის).	
6.	სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია და სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა	
7.	უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);	
8.	სხვა დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს შესაბამისი სადოქტორო პროგრამა;	

ვადასტურებ სააპლიკაციო ფორმაში მოცემული ინფორმაციის სისწორეს.

აპლიკანტის სახელი და გვარი (სრულად) .....

ხელმოწერა ..... **თარიღი**

,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წლისათვის დამატებითი მიღების გამოცხადების შესახებ"
ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 06 ნოემბრის №01-02/187 ბრძანების

№3 დანართი

სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია

და სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა

დოქტორანტობის **კანდიდატის** სახელი, გვარი, პირადი ნომერი:
სადოქტორო პროგრამა: ----------

სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია (პროექტის დასახელება, კვლევის მიზანი, მოსალოდნელი შედეგები და კვლევის განხორციელების ეტაპები):----------
---

თანხმობა ზემოაღნიშნული საკვლევი პროექტის **სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე:**
სახელი, გვარი და აკადემიური ხარისხი, დაკავებული თანამდებობა -- ----------

ხელმძღვანელობის კანდიდატის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაცია შესაბამის დარგში (პუბლიკაციის დასახელება და გამოქვეყნების ადგილი) ----------
----------;

დოქტორანტობის კანდიდატის ხელმოწერა ----------
სამეცნიერო ხელმძღვანელობის კანდიდატის ხელმოწერა ----------
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა ----------

თარიღი ----------

„ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წლისათვის დამატებითი მიღების გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 06 ნოემბრის №01-02/187 ბრძანების

№4 დანართი

2024-2025 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს **დოქტორანტურაში მიმღები კომისია**

1. **ამირან შარაძე** - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი (თავმჯდომარე);
2. **თამთა ქარცივაძე** - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი (წევრი);
3. **მარიამ ბოლქვაძე** - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (წევრი);
4. **თინათინ ჭიჭვეიშვილი** - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (წევრი).